

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა
ქსელისა და ასოციაცია მწვანე ალტერნატივას

ერთობლივი შენიშვნები

ნენსკრა ჰესის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე
ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თაობაზე

25 სექტემბერი, 2015 წ.

1. პროექტის შესახებ

საქართველოს საპარტნიორო ფონდის დაკვეთით, საკონსულტაციო კომპანია შპს „გამა კონსალტინგმა“ მოამზადა 280 მგვტ დადგმული სიმძლავრის, სეზონური რეგულირების ნენსკრა ჰესის მშენებლობის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიში, რომლის განხორციელება გათვალისწინებულია მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. ნენსკრას და ნაკრას ხეობებში. გზშ ანგარიშის თანახმად, პროექტი უნდა განხორციელდეს საპარტნიორო ფონდის შვილობილი კომპანია სს „ნენსკრას“ მიერ, საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. პროექტთან დაკავშირებით საპარტნიორო ფონდის მრჩეველია საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, რომელიც უშუალოდ არ მონაწილეობს პროექტის დაფინანსებაში¹.

პროექტის განხორციელება იგეგმება ორ ეტაპად: პირველ ეტაპზე იგეგმება 135 მ სიმაღლის ქვანაყარი კაშხლისა (182 მლნ მ³ ტევადობის წყალსაცავი) და 15.1 კმ სიგრძის წყალგამტარი გვირაბის მშენებლობას ნენსკრას წყალსაცავიდან სადაწნეო სისტემამდე, რის გამოც წყლის ქვეშ აღმოჩნდება დაახლოებით 380-400 ჰექტარი ფართობის ტერიტორია. მეორე ეტაპზე კი იგეგმება 13 მ სიმაღლის კაშხლისა და 12.4 კმ სიგრძის სადერივაციო გვირაბის მშენებლობა მდ. ნაკრას ხეობიდან მდ. ნენსკრას ხეობაში.

პროექტის მთლიანი ღირებულება გზშ ანგარიშში არ არის განსაზღვრული, თუმცა საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მისი ღირებულება მერყეობს 650-დან 750 მილიონ აშშ დოლარამდე. საპარტნიორო ფონდის ვებგვერდზე არსებული და მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პროექტის ღირებულება გაცილებით მაღალია და შეადგენს 1 მილიარდ აშშ დოლარს², რაც ბევრ კითხვას აჩენს.

სს „ნენსკრამ“ ა.წ. 1 და 2 ივნისს ჩაატარა პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვები, როგორც ნაკრას და ჭუბერის სათემო ცენტრებში, ისე მესტიის გამგეობის



გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში



მონიტორინგს ვუწვევთ
საერთაშორისო საფინანსო
ინსტიტუტების საქმიანობას

თბილისი, 0179, საქართველო
ვალიაშვილის ქ. 27/29, II სართ.
ტელეფონი: (995 32) 29 27 73
ფაქსი: (995 32) 22 38 74
ელ.ფოსტა: greenalt@greenalt.org
ვებ-გვერდი: www.greenalt.org

¹<https://ifcndd.ifc.org/ifcext/spiwebsite1.nsf/d011bd56046289dc85257b6000260169/a037a1e8096fda5885257c69>
²http://www.fund.ge/geo/view_news/346

შენობაში. მიმდინარე წლის 4 აგვისტოს კი კომპანიამ ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის მისაღებად, მიმართა საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და წარუდგინა ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის გზმ ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია.

საპარტნიორო ფონდის ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციიდან³ ირკვევა, რომ საპარტნიორო ფონდის მონაწილეობის დეტალები პროექტში 2015 წლის 31 აგვისტომდე არ იყო გარკვეული⁴. თუმცა ამას ხელი არ შეუშლია კორეული კომპანიისთვის არათუ ტენდერი გამოეცხადებინა ჰესის მშენებლობაზე, უფრო მეტიც, ა.წ. 20 ივლისს გამოეცხადებინა ტენდერში გამარჯვებულ კომპანიად იტალიური „სალინი-იმპრეჯილო“⁵, რომელსაც უშუალოდ დაევალა სამშენებლო სამუშაოების განხორციელება. გავრცელებული ინფორმაციით⁶, მიუხედავად სამშენებლო ნებართვის არქონისა, ა.წ. 16 სექტემბერს საპარტნიორო ფონდმა კორეულ კომპანიასთან ერთად ნენსკრა ჰესის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. მშენებლობის დაწყების ღონისძიებაში კომპანიისა და საპარტნიორო ფონდის წარმომადგენლების გარდა მონაწილეობა მიიღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, მთავრობის წევრებმა, კორეის რესპუბლიკისა და იტალიის ელჩებმა.

სამწუხაროა, რომ გრძელდება საქართველოში ჰიდროელექტროსადგურების პროექტების განხორციელებისას ჩამოყალიბებული მანკიერი პრაქტიკა, რაც ცალსახად შეიძლება შეფასდეს, როგორც ზეწოლა გადაწყვეტილების მიმღებ სამინისტროებზე.

პროექტის დაფინანსების თხოვნით კორეულმა კომპანიამ უკვე მიმართა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკსა და აზიის განვითარების ბანკს. ამიტომ, ქვემოთ წარმოდგენილ შენიშვნებში აქცენტი გავაკეთეთ, არამარტო საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან პროექტის გზმ ანგარიშის შესაბამისობაზე, არამედ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკისა და აზიის განვითარების ბანკის სტანდარტებთან და ეკვატორის პრინციპებთან⁷ მის თავსებადობაზეც. ეკვატორის პრინციპების თანახმად, ბანკები იღებენ ვალდებულებას, არ უზრუნველყონ სესხით პროექტები, სადაც მსესხებელს არ სურს ან არ შეუძლია, უზრუნველყოს აღიარებულ გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკებთან და პროცედურებთან, მათ შორის, იძულებითი განსახლების პრინციპებთან შესაბამისობა⁸.

ამასთან წარმოდგენილ შენიშვნებში გამოყენებულია ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულ იქნა ა.წ. 15-21 ივნისს ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ბანკებზე დამკვირვებელთა ქსელისა და ასოციაცია მწვანე ალტერნატივას მიერ საპროექტო არეალში განხორციელებული ერთობლივი სავლე გასვლისა და დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების შედეგად, კერძოდ, შეხვედრები გაიმართა:

- ჭუბერისა და ნაკრას თემებში მცხოვრებ მოსახლეობასთან (24 ადამიანი);
- ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენლებთან;
- ენერგეტიკის სამინისტროსთან;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან;
- აზიის განვითარების ბანკთან;

³ http://fund.ge/geo/view_news/337 „საპარტნიორო ფონდი ნენსკრა ჰესის მშენებლობას იწყებს“; 31 აგვისტო 2015 წ.

⁴ 2015 წლის 31 აგვისტოს საპარტნიორო ფონდმა, კორეულმა კომპანია „K Water“-მა, საქართველოს მთავრობამ, სს „ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციულმა ოპერატორმა“ (ესკო) და სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემამ“ ხელი მოაწერეს ნენსკრა ჰესის საიმპლემენტაციო ხელშეკრულებათა პაკეტს; http://fund.ge/geo/view_news/337

⁵ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია საპარტნიორო ფონდის და არა „K Water“-ის ვებგვერდზე;

⁶ http://fund.ge/geo/view_news/346 „საპარტნიორო ფონდმა ნენსკრას მშენებლობას საფუძველი ჩაუყარა“;

⁷ <http://www.equator-principles.com/>

⁸ „ეკვატორის პრინციპები“ ეყრდნობა მსოფლიო ბანკის ჯგუფის წევრის, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის უსაფრთხოების პოლიტიკასა და მისი განხორციელების სტანდარტებს; http://www.equator-principles.com/resources/equator_principles_all_languages.zip

- ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან;
- სს „ნენსკრასა“ და საპარტნიორო ფონდთან;

ვიზიტის ფარგლებში იგეგმებოდა შეხვედრები კორეული კომპანია „K-Water“-ისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის წარმომადგენლებთანაც, თუმცა სამწუხაროდ, ამ პერიოდში ეს ვერ მოხერხდა.

2. პროექტის ხარისხი

წარმოდგენილი გზმ ანგარიში ძალზე უხარისხოა. ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი ანგარიში და ჩატარებული საკონსულტაციო შეხვედრები, არათუ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნებს, არამედ საქართველოს კანონმდებლობასაც კი არ შეესაბამება.

ანგარიშში ვხვდებით შპს „გამას“ და სხვა საკონსულტაციო კომპანიების მიერ მომზადებულ სხვა ჰიდროელექტროსადგურების გზმ-ებიდან კოპირებულ საკმაოდ ვრცელ ადგილებს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე. ზოგიერთი მნიშვნელოვანი საკითხი ან ნაწილობრივად შესწავლილი, ან საერთოდ გამოტოვებულია. მაგალითად, შინაარსით ანალოგიური თავები „5.2.6.1.1 ფლორისა და მცენარეულობის აღწერისა და ეკოსისტემებზე და ჰაბიტატებზე პროექტის ზემოქმედების განსაზღვრის ზოგიერთი მეთოდოლოგიური და კონცეპტუალური მიდგომის შესახებ“, და „6.10.2.1 ზემოქმედება ფლორაზე (მშენებლობის ეტაპი)“, სიტყვა-სიტყვით მეორდება არაერთ გზმ ანგარიშში (მაგ. შავი ზღვის ელექტროგადაცემის პროექტის, ლარსი ჰესის, ყაზბეგი ჰესის შუახევი ჰესის გზმ ანგარიშებში). ამასთანავე, ამ თავებში აღწერილი ეკო-კომპენსაციის მიდგომა არ არის გამოყენებული გზმ-ს შემდგომ ნაწილებში და არც ბიომრავალფეროვნების მართვის გეგმაში. როგორც წესი, ზემოხსენებული პროექტების განხორციელების ეტაპზე, პროექტის განმახორციელებლები არ ახორციელებენ ეკო-კომპენსაციებს ჰაბიტატ-ჰექტრული მიდგომით და არც გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო არ ითხოვს გზმ ანგარიშებით აღებული ამ ვალდებულების შესრულებას.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში ტექსტში შეტანილი მცირედ შესწორებებისა და სიტყვების გადაადგილებას, გამას მიერ მომზადებული სხვა გზმ ანგარიშებიდან გადმოწერილია გზმ განსახილველი დოკუმენტის შემდეგი თავები: : 3.1 „ენერჯის ალტერნატიული წყაროები“; 3.1.1 „ჰიდრო რესურსები“; 3.1.2 „მზის ენერჯია“; 3.1.3 „ქარის ენერჯია“; 3.1.4 „გეოთერმული ენერჯია“ და ასევე 3.2 „არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი“. შესაბამისად, ამ თავების არსებობა ემსახურება არა რეალური და საუკეთესო ალტერნატივის წარმოჩენას, არამედ მხოლოდ ანგარიშში მათ ფორმალურ არსებობას. იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული საკითხების განსაზღვრა და შეფასება არის სწორედ გზმ ანგარიშის მომზადების ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, ნათელია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი ამ ამოცანას არ ასრულებს. ამასთან მსგავსი სახით ანგარიშის წარმოდგენა ეწინააღმდეგება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკების მოთხოვნებს.

დოკუმენტში არ არის წამოდგენილი ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემები, როგორცაა ელექტროენერჯის მიწოდებასთან, ტარიფთან, ჰესის ექსპლუატაციის პირობებთან და მუშაობის რეჟიმებთან დაკავშირებული ინფორმაცია. ასევე ინფორმაცია სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ენერჯის პროექტის ზეგავლენის თაობაზე. მედიაში გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით⁹, 35 წელიწადში სადგური უსასყიდლოდ და ყოველგვარი პირობის გარეშე უნდა გადაეცეს სახელმწიფოს, თუმცა ანგარიშში აღნიშნული საკითხი საერთოდ არ არის ნახსენები.

⁹ ირაკლი კოვჩანაძე „1 მლრდ აშშ დოლარის ღირებულების პროექტის განხორციელებაში სხვა ფაქტორებთან ერთად ყველაზე მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ სადგური 35 წელში უსასყიდლოდ და ყოველგვარი პირობის გარეშე გადაეცემა სახელმწიფოს.“; http://www.fund.ge/geo/view_news/346

გარდა ტექნიკური საკითხებისა, პრაქტიკულად არ არის შეფასებული პროექტის ირიბი ზემოქმედება ადგილობრივ მოსახლეობაზე და არ არის განსაზღვრული შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები. არ არის შეფასებული პროექტის კუმულაციური ზემოქმედება, რომელიც უკავშირდება როგორც თავად პროექტთან დაკავშირებულ ინფრასტრუქტურის განვითარებას (გზები, გადამცემი ხაზები ა.შ.), ისე რეგიონში დაგეგმილ სხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და მათ ერთობლივ კუმულაციურ ზემოქმედებას რეგიონზე სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური და ენერგეტიკული თვალსაზრისით.

კონსულტანტის მიერ არ იქნა შესწავლილი პროექტის ირიბი ზემოქმედება ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო გარემოზე, რაც გამოწვეულია ერთის მხრივ, საკმაოდ დიდი ფართობის (დაახლოებით 400 ჰა) დაკარგვით, რომელიც მოსახლეობის მიერ ინტენსიურად გამოიყენება და მეორეს მხრივ, მიკროკლიმატის ცვლილების შედეგად გამოწვეული ზემოქმედებით მოსავალზე.

არ არის წარმოდგენილი არც პროექტის დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზი ქვეყნისთვის, რომლის საფუძველზე შესაძლებელი იქნებოდა პროექტის მიზანშეწონილობაზე მსჯელობა. აღნიშნულ საკითხზე იყო გამახვილებული ყურადღება როგორც ხუდონჰესზე ნიდერლანდების გარემოზე ზემოქმედების კომისიის დასკვნაში, ისე გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დაქირავებული კონსულტანტის, დოქტორი ფრანკ შრეიდერის მიერ მომზადებულ შეფასებაშიც. ამასთან აღნიშნული ანალიზის არარსებობა ეწინააღმდეგება აზიის განვითარების ბანკის მოთხოვნებს¹⁰.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ხაზგასმულია საერთაშორისო კონსულტანტის მიერ, გზშ ანგარიშის სააუზო მართვის გეგმასთან თავსებადობას უკავშირდება¹¹. მართალია, დღეის მდგომარეობით საქართველო სააუზო მართვის გეგმებით წყლის რესურსების მართვის მოდელზე არ არის გადასული, მაგრამ საქართველოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით, აუცილებელი იყო გზშ ანგარიშში შეფასებები სწორედ სააუზო მართვის პროცესების გათვალისწინებით მომხდარიყო, რათა მომავალში თავიდან ყოფილიყო აცილებული წინააღმდეგობები წყლის ჩარჩო-დირექტივის მოთხოვნებთან. ჩვენის აზრით, სააუზო მართვის პრინციპების გაუთვალისწინებლობა გზშ ანგარიშის სერიოზული ნაკლოვანებას წარმოადგენს.

როდესაც ვსაუბრობთ წარმოდგენილი გზშ ანგარიშის ხარისხზე, არ შეიძლება არ გავიხსენოთ, შპს „გამას“ მიერ არის მომზადებული პრობლემური გზშ ანგარიშები: „ზახვი-ჰესის“ პროექტზე, რომელიც არასწორად შერჩეული ადგილისა და ცუდად ჩატარებული გეოლოგიური შესწავლის გამო მეწყერმა დაანგრია მშენებლობის პროცესში, ხოლო მშენებლობის დასრულების შემდეგ დღემდე არ დაუწყია ელექტორენერჯის გამომუშავება; „შუახევი ჰესი“, რომელიც არასრულყოფილად შესრულებული კვლევების გამო მშენებლობის პროცესში დაზიანდა ახლომდებარე სოფლებში მცხოვრებთა სახლები; „დარიალჰესი“, რომელიც დაზიანდა გლაციალური ღვარცოფის შედეგად, ვინაიდან ცუდად ჩატარებული გზშ პროცესში არასწორად იქნა შერჩეული განთავსების ადგილი და დიზაინი. ეს შეცდომა აღიარებულია გარემოსა და ბუნებრივი სამინისტროს მიერაც, როდესაც გაიცა დამატებითი ნებართვა ამ ჰესის პროექტის გასაგრძელებლად. სამწუხაროდ, არასწორად შერჩეული ადგილისა და მშენებლობის პროცესში გზშ პირობების შეუსრულებლობის გამო (პირობების შესრულების აუდიტს ასევე „გამას“ ასრულებდა), დაილუპნენ ადამიანები. კონსულტანტების მიერ სხვადასხვა ანგარიშის ნაწილების მექანიკური კოპირების საკითხი არაერთხელ იქნა გაჟღერებული სხვადასხვა საჯარო

¹⁰ <http://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/33788/files/cost-benefit-analysis-development.pdf>

¹¹ Review of Nenskra HEP ESIA Study To Ministry of Environment and Natural Resources of Georgia; Chapter 3.4 "Legislation"; "The EU WFD is not only listed at the very end of a table with main European legal and regulatory documents but moreover is not considered from the river basin point of view." May 13, 2015;

შეხვედრაზე, მათ შორის საერთაშორისო კონსულტანტების მიერაც. შპს „გამას“ მიმართ სამინისტროს მიერ ამგვარი „ტოლერანტობა“ საფუძვლიანი დაეკვების საბაზს იძლევა.

ხარისხის ნაკლოვანებებზე მიუთითებს ისიც, რომ გზშ ანგარიშში არ არის განხილული და გათვალისწინებული სახელმწიფო პრიორიტეტები, რომლებიც მოცემულია შემდეგ დოკუმენტებში: საქართველოს ეროვნული სატყეო კონცეფცია (საქართველოს პარლამენტის დადგენილება N1742-Ilს11.12.2013 და 2014-2020 წწ. საქართველოს ბიომრავალფეროვნების სტრატეგია და მოქმედებათა გეგმა (საქართველოს მთავრობის დადგენილება N343, 08.05.2014. ასევე არ არის განხილული და გათვალისწინებული იმ დოკუმენტების რეკომენდაციები, რომლებიც, მართალია არ არის დამტკიცებული ნორმატიული აქტებით, მაგრამ სახელმწიფო განიხილავს მათ, როგორც მდგრადი განვითარების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტებს: ევორეგიონული კონსერვაციის გეგმა¹² და საქართველოს ეკოსისტემებისა და ბიომრავალფეროვნების ეკონომიკური შეფასება, წინასწარი კვლევა (*TEEB Scoping Study for Georgia: Main Findings and Way-forward, 2013*)¹³. ეს უკანასკნელი დოკუმენტი შეტანილია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს 2013-14 წლების ანგარიშში, როგორც მწვანე ეკონომიკის სახელმძღვანელო დოკუმენტი.

ნაშრომში არ არის ასევე განხილული და გათვალისწინებული ენერგეტიკის სამინისტროს შეკვეთით და USAID-ის მხარდაჭერით მომზადებული „ზემო სვანეთში დაგეგმილი ჰესების ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზი“, სადაც აღნიშნულია, რომ მესტიის რაიონში დაგეგმილი 27 ჰესიდან ყველაზე მეტი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებასა და ბუნებრივ გარემოზე სწორედ ნენსკრაჰესს ექნება, ხოლო ამ პროექტების განხორციელების შედეგად, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, ქვეყნისათვის მოტანილი სარგებელი ნაკლები იქნება დანახარჯებზე.

2014 წლის 18 დეკემბერს ევროპარლამენტმა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა და საქართველოს შესახებ რეზოლუციაც მიიღო, სადაც ყურადღება გამახვილდა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საკითხებზე, მათ შორის ენერგეტიკასა და გარემოს დაცვაზე. ევროპარლამენტი „მოუწოდებს ევროკომისიას, დაეხმაროს და საფუძვლიანი მონიტორინგი გაუწიოს საქართველოს ხელისუფლების ორგანოებს ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის, რეაბილიტაციისა და რეკონსტრუქციისთვის გამიზნული საინვესტიციო პროგრამების განხორციელებისას; მოუწოდოს ხელისუფლების ორგანოებს, სრულად შეასრულონ ევროკავშირის სტანდარტები და ნორმები, განსაკუთრებით, როდესაც საქმე ეხება დიდი ჰიდროელექტროსადგურების გარემოზე ზემოქმედების შესაფასებას“ (46-ე პუნქტი). ევროპარლამენტის ეს მოთხოვნა არ არის გათვალისწინებული ნენსკრა-ჰესის გზშ ანგარიშის მომზადებისას, რაც დადებითი დასკვნის გაცემის შემთხვევაში, უცილობლად იქონიებს გავლენას მისი დაფინანსების შესაძლებლობებზე და საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე.

3. პროექტის განხორციელების საჭიროების საკითხი

პროექტის საჭიროების დასაბუთების მიზნით, ანგარიშში წარმოდგენილია თავი 6.13 „ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე“. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია შემდეგი ქვეთავები: 6.13.2.2 „რესურსების ხელმისაწვდომობა“; 6.13.2.3 „მიწის საკუთრება და

¹² <http://wwf.panda.org/?205437/ecoregion-conservation-plan-for-the-caucasus-revised> - ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის მიერ ექსპერტთა მონაწილეობით მომზადებული დოკუმენტი, რომლითაც ხელმძღვანელობენ კავკასიის ქვეყნის მთავრობები დაცული ტერიტორიების სისტემის განსავითარებლად.

¹³ იხ. www.teebweb.org UNEP and WWF, 2013. TEEB Scoping Study for Georgia. United Nations Environment Programme (UNEP), Geneva, Switzerland).

გამოყენება“; 6.13.2.4 „დასაქმება“; 6.13.2.5 „დემოგრაფიული ცვლილებები“; 6.13.2.6 „წვლილი ეკონომიკაში“. ამ ქვეთავებში წარმოდგენილი ინფორმაციის საფუძველზე 3.2 თავში („არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი“) გაკეთებულია დასკვნა. ქვემოთ განვიხილავთ თითოეული ზემოაღნიშნულ ქვეთავს.

6.13.2.2 „რესურსების ხელმისაწვდომობა“

ანგარიშის ავტორის თანახმად, „საპროექტო ტერიტორიის დიდი ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაა“, ხოლო „საპროექტო ტერიტორიის დიდ ნაწილს ადგილობრივი მოსახლეობა ინტენსიურად იყენებს საძოვრად, შემის მოსაპოვებლად, ველური ხილის შესაგროვებლად და სხვა დანიშნულებით. პროექტის განხორციელების შემთხვევაში კი მოსახლეობა სამუდამოდ დაკარგავს აღნიშნული ტერიტორიების გამოყენების შესაძლებლობას, რაც მცირე მაგრამ ნეგატიურ ზემოქმედებას მოახდენს მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზე“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ჭუბერის თემის სოფლები, ისევე როგორც ზემო სვანეთის სოფლებში მიწა ძალზე მწირი რესურსია. შესაბამისად, რესურსებზე ხელმისაწვდომობა არის უმწვავესი საკითხი მოსახლეობისთვის, მითუმეტეს როდესაც საუბარია ასობით ჰექტარის დაკარგვაზე. კონსულტანტის მტკიცება, რომ აღნიშნული ტერიტორია სახელმწიფო საკუთრებაა, არ ნიშნავს, რომ მისი დაკარგვით ადგილობრივი მოსახლეობა მცირედით დაზარალდება. იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ჭუბერის თემის მაცხოვრებლების ტრადიციულ საკუთრებას, ამ გარემოების გაუთვალისწინებლობა შესაძლებელია გახდეს მწვავე დაპირისპირების მიზეზი ინვესტორსა და მოსახლეობას შორის.

მართალია, საქართველოს კანონმდებლობა არ იცნობს ტრადიციული საკუთრების ცნებას, თუმცა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკებით ტრადიციული საკუთრება ცალსახად არის აღიარებული. შესაბამისად, პროექტისათვის განსაზღვრულ **ტერიტორიებზე მხოლოდ სახელმწიფოს უფლების აღიარება და ადგილობრივი თემის უფლებების უგულვებელყოფა** საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკის მოთხოვნების უხეში დარღვევაა. პროექტის განხორციელებით დაინტერესებულ სუბიექტს ეს საკითხი აუცილებლად უნდა შეესწავლა და და შეეფასებინა განსახლების სამოქმედო გეგმაში, მაგრამ ასეთი გეგმა საერთოდ არ მომზადებულა.

ასევე გაუგებარია, რა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობდა კონსულტანტი, როდესაც რესურსებზე ხელმისაწვდომობის დაკარგვას აფასებდა მცირე ზემოქმედებად, რადგან დოკუმენტში არ არის წარმოდგენილი ისეთი მნიშვნელოვანი მონაცემები როგორცაა, აღნიშნული ტერიტორიით მოსარგებლების ზუსტი ოდენობა, მათი შემოსავლის წყარო, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წილი მათ შემოსავლებში და მათი დაკარგვით მიყენებული ზიანი ა.შ.

რესურსებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა წარმოადგენს აღნიშნული პროექტის ერთ-ერთ ყველაზე მწვავე საკითხს, რაც შეიძლება გახდეს ადგილობრივ მოსახლეობასთან დაპირისპირების მიზეზი, ხოლო გზშ-ში გაკეთებული შეფასება სრულიად არაადეკვატურია.

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თბილისში გამართული განხილვისას ნათლად გამოჩნდა შეუსაბამობა ანგარიშში მოცემულ მტკიცებასა და ადგილობრივი მოსახლეობის თვალსაზრისს შორის. ტერიტორია, სადაც ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო ნიადაგია, ინვესტორმა უვარგისად მოიხსენია, აღინიშნა, რომ მისი დაზიანება მშენებლობის დროს გარდაუვალია. ადგილობრივები ამბობენ, რომ საძოვრებზე სწორედ ამ ადგილას გამოჰყავთ საქონელი. ამ ადგილების მშენებლობის მიზნით გამოყენება, სოციალური თვალსაზრისით დიდი ზიანის მომტანი იქნება სვანეთის მოსახლეობისათვის.

სოციალურ პასუხისმგებლობის კუთხით უნდა აღინიშნოს, რომ ჭუბერში მხოლოდ ორ ოჯახს შესთავაზეს კომპენსაცია. მათ ვისაც, უშუალო ზიანი ადგება პროექტის განხორციელების შემთხვევაში. არაფერია საუბარი მათთვის, ვისაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები შეუმცირდება, ან საერთოდ გაუნადგურდება. ასევე შეიქმნება პრობლემა სათიბ-საძოვრებსა და სარწყავ წყალზე.

პროექტის განხორციელების შემთხვევაში, არ არის დათვლილი პოტენციური ეკომიგრანტების რაოდენობაც, რადგან ტექნიკურად, ჰესის მშენებლობისას განსახლება საჭირო არ გახდება. სამაგიეროდ ჰესის გამო შექმნილი ნეგატიური ეფექტები: სასოფლო-სამეურნეო პრობლემები, ჯანმრთელობის გაუარესება, ტენიანობის მომატება, გააქტიურებული გეოლოგიური პროცესები სვანებს გადასახლებას მომავალში აიძულებს. როგორც წესი, უკეთეს შემთხვევაში, ამგვარი შემთხვევების დროს გადასახლების ხარჯებს რატომღაც სახელმწიფოს აწვება და არა კერძო კომპანიას ხოლმე.

6.13.2.3 „მიწის საკუთრება და გამოყენება“

ქვეთავის დასაწყისში აღნიშნულია: “თუ გავითვალისწინებთ საპროექტო ტერიტორიების დასახლებული პუნქტებიდან მნიშვნელოვანი დაცილების მანძილებს, მათი საზოგადოებრივი დანიშნულებით ინტენსიური გამოყენება არ ხდება“. ეს მტკიცება წინააღმდეგობაში მოდის როგორც წინა ქვეთავში წარმოდგენილ ინფორმაციასთან, ისე, ამავე ქვეთავის მომდევნო ტექსტთანაც, კერძოდ, სადაც ნათქვამია, რომ საპროექტო არეალი ინტენსიურად გამოიყენება ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, ხოლო „პროექტის განხორციელება გარკვეულად შეზღუდავს მათ საქმიანობებს“.

ანგარიშში არ არის განმარტებული, რა იგულისხმება „მოსახლეობის საქმიანობის გარკვეულ შეზღუდვაში“, მაშინ როდესაც პროექტით დაკავებული ტერიტორიები სამუდამოდ დაიკარგება პროექტის განხორციელების გამო, ხოლო ალტერნატიული ტერიტორიები უზრალოდ არ არსებობს. სამწუხაროდ, უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების ან შერბილების გეგმა ანგარიშში არ არის წარმოდგენილი.

გაუგებარია ასევე, ამავე ქვეთავის პირველივე პარაგრაფის ბოლოს გაკეთებული ჩანაწერი: „გზმ-ს საჯარო განხილვის პერიოდში განხორციელდება შესაბამისი პროცედურები საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ „ეროვნულ სატყეო სააგენტოსთან“ საპროექტო ტერიტორიების სატყეო ფონდიდან ამორიცხვის თაობაზე“. კონკრეტულად რის საფუძველზე უნდა მოხდეს საპროექტო ტერიტორიების სატყეო ფონდიდან ამორიცხვა საჯარო განხილვის პერიოდში, მაშინ როდესაც პროექტზე ჯერ კიდევ არ არის გაცემული დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა.

როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან იენისში გამართულ შეხვედრაზე, არსებული ტყის მასივების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ამორიცხულია და გადაცემულია ეკონომიკის სამინისტროსთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, არათუ არ უნდა გაიცეს დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა პროექტზე, არამედ აუცილებელია სასწრაფოდ დაიწყოს გამოძიება, რის საფუძველზე და როდის განხორციელდა ტყის მასივების ამორიცხვა და ეკონომიკის სამინისტროსთვის გადაცემა.

ქვეთავის ბოლო პარაგრაფის მიხედვით, გზმ პროცესში ჩატარებული შეხვედრების დროს, „საკუთრებასთან დაკავშირებული უკმაყოფილება არ ყოფილა გამოთქმული. 2014 წლის მარტის თვის მდგომარეობით საკუთრებასთან დაკავშირებული საჩივრები ან დავები არ არის აღრიცხული“. იმის გათვალისწინებით რომ გზმ ანგარიშის სამუშაო ვერსია მომზადდა 2015

წელს, ხოლო მისი განხილვა გაიმართა 2015 წლის 1-2 ივნისს, გაუგებარია ადგილობრივ მოსახლეობას სად და ვისთან უნდა წარედგინა საკუთრებასთან დაკავშირებული საჩივრები ან ვის უნდა აღერიცხა ისინი 2014 წლის მარტამდე. უფრო მეტიც, გასაჩივრების მექანიზმი არ არის წარმოდგენილი არც სანებართვოდ წარმოდგენილ ანგარიშში, რაც წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნების უხეშ დარღვევას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რის დასაბუთებაც ცდილობს აღნიშნული ჩანაწერით კონსულტანტი, გაუგებარია.

6.13.2.4 „დასაქმება“

ანგარიშის მიხედვით, მშენებლობის სხვადასხვა ფაზაზე დასაქმებულთა რაოდენობა დაახლოებით იქნება 500-600 კაცი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე 50-60 კაცი, რომელსაც ექნება მნიშვნელოვანი დადებითი ზემოქმედება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებასა და სოციალურ მდგომარეობაზე. სამწუხაროდ, პროექტში საერთოდ არ არის ნახსენები, თუ რა ვალდებულება აქვს ინვესტორს აღებული ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების კუთხით. როგორც სხვა პროექტების მაგალითები გვაჩვენებს, ადგილობრივი მოსახლეობა საქმდება ძირითადად დაბალანაზღაურებად ადგილებზე და ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული პოზიციების დაკავებაც ხშირად საკმაო სირთულეებთანაა დაკავშირებული (მაგ., ფარავნის ჰესის პროექტზე ადგილობრივებს უბრალო მუშის ადგილებზე ინგლისურსა და უნივერსიტეტის დიპლომებს თხოვდნენ). ასეთ ვარაუდს ამყარებს ამავე თავში გაკეთებული შემდეგი ჩანაწერები:

- „აღსანიშნავია, რომ დასაქმებასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული სახის ნეგატიური ზემოქმედების რისკებიც, კერძოდ: ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მოლოდინი და უკმაყოფილება“;
- „შემუშავდება პერსონალის აყვანის პოლიტიკა და გამოქვეყნდება ადგილობრივ, მუნიციპალურ და რეგიონალურ დონეზე“; და
- „პერსონალის აყვანა მოხდება შესაბამისი ტესტირების საფუძველზე“.

იმის გათვალისწინებით, რომ პროექტის მშენებლობა პრემიერ-მინისტრმა გახსნილად გამოაცხადა, როდის შემუშავდება პერსონალის აყვანის პოლიტიკა ან რა სახის ტესტირების ჩატარებას გეგმავს კომპანია, სრულიად გაუგებარია.

მართალია, ამავე თავში გაკეთებულია ჩანაწერი, რომ „ს.ს „ნენსკრას“ დაგეგმილი აქვს ადგილობრივი ახალგაზრდა კადრების გადამზადება სამშენებლო სამუშაოებზე დასაქმების მიზნით“, თუმცა გაუგებარია, როდის, სად და ვის გადამზადებას გეგმავს კომპანია, მაშინ როდესაც სამშენებლო სამუშაოების დაწყება ფაქტობრივად გახსნილად გამოცხადდა საქართველოს მთავრობის მიერ. შესაბამისად, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა სხვა არაფერია, თუ არა ცრუ დაპირება და პროექტიდან მიღებული სარგებლის გადაჭარბებული შეფასება.

ამასთან, იმ შემთხვევაშიც კი, თუ დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა ადგილობრივი მოსახლე იქნება (რაც საქართველოს რეალობაში არ გვხვდება), აღნიშნული სარგებლის განხილვა შეუძლებელია მიყენებული ზიანის საპირწონედ.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ ანგარიშის მიხედვით, „გზმ პროცესში ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს გააჩნია სხვადასხვა პროფილის სამშენებლო სამუშაოებზე მუშაობის გამოცდილება“. სამწუხაროდ, ანგარიშში არ არის ნახსენები არც ის, თუ როდის და სად ჩატარდა აღნიშნული გამოკითხვა და არც ამ გამოკითხვის მიზანი და მეთოდოლოგია. აღნიშნული გამოკითხვის შესახებ არაფერია ცნობილი ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც.

6.13.2.5 დემოგრაფიული ცვლილებები

აღნიშნული ქვეთავი ფაქტობრივად წარმოადგენს წინა ქვეთავის გაგრძელებას და ეძღვნება დასაქმებით გამოწვეულ დემოგრაფიულ ცვლილებებს. ანგარიშის მიხედვით, „პროექტი არ ითვალისწინებს მუშათა მუდმივი დასახლების მშენებლობას, რადგან მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში ძირითადად დასაქმებული იქნება ადგილობრივი მოსახლეობა (საშუალოდ მთელი პერსონალის 80%).“ სამწუხაროდ, სხვა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობის პრაქტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მშენებლობის პროცესში ძირითადად დასაქმებული იქნება უცხო ქვეყნის მოქალაქეები, შესაბამისად, გაუგებარია რას ეფუძნება ანგარიშში გაკეთებული ვარაუდი.

უფრო მეტიც, ანგარიშის მიხედვით „მშენებლობის ფაზაზე მოსალოდნელია რეგიონიდან სამუშაოს საძებნელად გასული მუშა ძალის დაბრუნება, რაც დადებით ზემოქმედებას მოახდენს დემოგრაფიულ მდგომარეობაზე“. თუმცა გაუგებარია, რას ეფუძნება ანგარიშის ავტორების მიერ გაკეთებული აღნიშნული დაშვება წინა ქვეთავში განხილული მიზეზებიდან გამომდინარე და ემსახურება პროექტის სარგებლის გადაჭარბებულ წარმოჩენას.

6.13.2.6 წვლილი ეკონომიკაში

ქვეთავი წარმოადგენს წინა ქვეთავების დასკვნით ნაწილს, სადაც მოკლედ არის წარმოდგენილი პროექტის სარგებელი ქვეყნისთვის. ანგარიშის მიხედვით, „ჰესის მშენებლობაზე გამოყენებული იქნება სამშენებლო მასალების ადგილობრივი რესურსები, რაც ხელს შეუწყობს სამშენებლო მასალების წარმოების სექტორის გააქტიურებას“.

ამგვარი მტკიცება წინააღმდეგობაში მოდის ანგარიშის 4.7.10 „ადგილობრივი სამშენებლო მასალები“ თავთან. ირკვევა, რომ ადგილზე მოპოვებული იქნება მხოლოდ ინერტული მასალები (ქვა-ხრეში და ქვები) და ხე-ტყის მასალა. ხე-ტყის მასალის შესყიდვა მოხდება მესტიის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული საწარმოებიდან, ხოლო ინერტული მასალების მოპოვება მოხდება საპროექტო ტერიტორიის განთავსების რაიონში დამიებული კარიერებიდან.

გაურკვეველია, როგორ შეეწყობა ხელი სამშენებლო მასალების წარმოების სექტორს, თუ სამშენებლო სამუშაოებისთვის მასალის მოპოვება მოხდება ახლად დამიებული კარიერებიდან. უფრო მეტიც, იმის გათვალისწინებით რომ საპროექტო არეალის 95% ტყის მასივით არის დაფარული, ხოლო რეზერვუარის მოსაწყობად აუცილებელია ამ ტერიტორიის სრულად გაწმენდა, კომპანიას არც ხე-ტყის შესყიდვა მოუწევს ადგილობრივი ლიცენზირებული წარმოებებისგან და სრულად იქნება გამოყენებული ადგილზე არსებული ხე-ტყის მერქნული რესურსები. შესაბამისად, ანგარიშში არსებული მტკიცება წარმოების სექტორის გააქტიურების შესახებ გადაჭარბებულია და არაფერი აქვს საერთო რეალობასთან.

ანგარიშში გადაჭარბებულად არის წარმოდგენილი ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებით გამოწვეული დადებითი ზემოქმედებაც.

ქვეთავის მიხედვით, მნიშვნელოვანი სარგებელია პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ინვესტიციები და საგადასახადო შემოსავლები. ანგარიშში სამწუხაროდ არ არის წარმოდგენილი არც ინვესტიციების ზუსტი ოდენობა, არც მისი განაწილება წლების მიხედვით და არც ინვესტიციების ის ოდენობა არის განსაზღვრული, რომელიც რეალურად რჩება საქართველოში და რომელიც უკან გადის პროექტისათვის საჭირო დანადგარებისა თუ სხვა მომსახურების იმპორტის შედეგად.

რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლებს, ანგარიშის მიხედვით, არც აღნიშნული საკითხია დეტალურად შესწავლილი და მოცემულია მხოლოდ ერთი პარამეტრის - ქონების გადასახადის სახით. ანგარიშის მტკიცებით, „ადგილობრივ ბიუჯეტში ჩაირიცხება ქონების გადასახადი (ჰესის კომუნიკაციების საბალანსო ღირებულების 1%) და მიწის გადასახადი (დაახლოებით 380 ჰექტარი), რაც წელიწადში 10-12 მილიონზე ნაკლები არ იქნება“. თუმცა რის საფუძველზე არის გაკეთებული აღნიშნული ვარაუდი, არ არის მოცემული.

ანგარიშში არათუ არ არის შესწავლილი, არამედ ნახსენებაც კი არ არის პროექტის ზეგავლენა ქვეყნის მაკროეკონომიკურ პარამეტრებზე (მშპ, ელ.ენერჯის ექსპორტი ა.შ), არ არის წარმოდგენილი პროექტის მთლიანი ღირებულება, საქართველოში დასატოვებელი ელექტროენერჯის ოდენობა და ტარიფი.

ცალკე უნდა აღინიშნოს პროექტის მთლიან ღირებულებასთან დაკავშირებით გავრცელებული სხვადასხვა ინფორმაცია. საპარტნიორო ფონდის ინფორმაციით, პროექტის მთლიანი ჯამური ღირებულება შეადგენს 1 მილიარდ აშშ დოლარს, ხოლო საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციით კი ირკვევა, რომ პროექტის ღირებულება 650-დან 750 მილიონ დოლარამდე მერყეობს. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულის თაობაზე ინფორმაცია არ მოიპოვება არც გზმ ანგარიშში, წარმოდგენილი განსხვავებული მონაცემები აჩენს კორუფციასთან და ფულის გარეცხვასთან დაკავშირებულ სერიოზულ ეჭვებს.

გაუგებარია ასევე ის ფაქტიც, თუ რატომ არ არის გზმ ანგარიშში გაანალიზებული პროექტის ზემოქმედება ისეთ საგადასახადო პარამეტრებზე, როგორცაა მაგალითად, სამემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი სხვა.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ გზმ ანგარიში ფაქტობრივად არ მოიცავს ეკონომიკურ ფაქტორებზე პროექტის ზემოქმედების საკითხებს, ხოლო დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია, ეფუძნება მხოლოდ ანგარიშის ავტორების ვარაუდებს, რომელიც ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის ანგარიშის სხვა თავების შინაარსთან.

ანგარიშში არ არის წარმოდგენილი არც პროექტის დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზი ქვეყნისთვის, რომლის გარეშეც შეუძლებელია პროექტის განხორციელების მიზანშეწონილობაზე საუბარი, რაც თავის მხრივ, ეწინააღმდეგება აზიის განვითარების ბანკის მოთხოვნებს¹⁴.

შესაბამისად, წარმოდგენილი ინფორმაციით შეუძლებელია ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ პროექტში ეკოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური წონასწორობის უზრუნველყოფა, რაც არის „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნების დარღვევა და შესაბამისად, აუცილებელია, გაიცეს ეკოლოგიური ექსპერტიზის უარყოფითი დასკვნა.

პროექტის განხორციელებით დაინტერესებული სუბიექტების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გამომუშავებული ენერჯის 100% საქართველოში რჩება. გასათვალისწინებელია, რომ წარმოდგენილი ინფორმაციით, დადგმული სიმძლავრის ერთი მეგავატის ღირებულება 4000 აშშ დოლარს აღემატება, რაც დაახლოებით 4-ჯერ მეტია საქართველოში მშენებარე და დაგეგმილი ჰესების პროდუქციის ღირებულებასთან შედარებით. შესაბამისად, ნენსკრა-ჰესის წარმოებული ელექტროენერჯის სრულად შესყიდვა ესკოს მიერ გამოიწვევს სამომხმარებლო ტარიფის მკვეთრ გაზრდას საქართველოს მოსახლეობისათვის.

¹⁴ <http://www.adb.org/sites/default/files/institutional-document/33788/files/cost-benefit-analysis-development.pdf>

სრულიად ნათელია, რომ აღნიშნული პროექტი ცალსახად წამგებიანი საქართველოსთვის და მხოლოდ მშენებლის ფინანსურ ინტერესს ემსახურება.

4. არაქმედების ალტერნატიული ვარიანტი

ანგარიშის 3.2 თავი ეძღვნება არაქმედების ალტერნატიული ვარიანტს. აღნიშნულის მიხედვით, „დაგეგმილი საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების წინამდებარე შეფასებამ, მოსალოდნელ ნეგატიურ ზემოქმედებასთან ერთად, გამოავლინა მნიშვნელოვანი დადებითი ასპექტები, რომელთა რეალიზება არ მოხდება პროექტის განუხორციელებლობის შემთხვევაში.“ პოზიტიური შედეგებიდან კი ჩამოთვლილია ის სოციალურ-ეკონომიკური „სარგებელი“, რომლის განხილვას ეძღვნებოდა 6.13 თავი. აღნიშნულის საფუძველზე კი გაკეთებულია დასკვნა, რომ: „პროექტის განუხორციელებლობის შემთხვევაში, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედებების თავიდან აცილების ხარჯზე, მოხდება რეგიონის ინფრასტრუქტურის და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარების გარკვეულწილად შეფერხება. რაციონალური საპროექტო გადაწყვეტილებების და შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების გათვალისწინებით ჰესის მშენებლობა და ოპერირება გაცილებით მნიშვნელოვან სოციალურ-ეკონომიკურ სარგებელს გამოიწვევს, ვიდრე პროექტის არაქმედების ალტერნატივა და იგი უგულვებელყოფილი იქნა.“

არაქმედების ალტერნატივაში კონკრეტული რიცხვები არ არის მოყვანილი, რომლებიც დაასაბუთებდნენ პროექტის განუხორციელებლობის უარყოფით ეკონომიკურ ასპექტებს. ამასთანავე, არ არის განხილული, პროექტის განუხორციელებლობის შემთხვევაში რამდენი ტყე და სხვა, მათ შორის ხელუხლებელი ეკოსისტემა გადარჩება, არ არის დაანგარიშებული ამ გადარჩენილი ეკოსისტემების ეკონომიკური ღირებულება. შესაბამისად, არაქმედების ალტერნატივა არადამაჯერებელია, ის ცალმხრივად და არაობიექტურადაა შეფასებული გზმ ანგარიშის ავტორების მიერ.

აღსანიშნავია, რომ 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის დროს, ბორჯომის ხეობაში საკმაოდ დეგრადირებული 250 ჰა ტყის გადაწვის შედეგად სახელმწიფომ ერთი მილიარდი დოლარის ოდენობის ზარალი მიიღო (სპეციალური სახელმწიფო კომისიის დასკვნა). ნენსკრა-ჰესის პროექტის განხორციელების შედეგად განადგურდება მინიმუმ ორჯერ მეტი ფართობის მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყე, შესაბამისად, სავარაუდოა, რომ ეკოსისტემურ სერვისებზე მიყენებული ზიანი გაცილებით გადააჭარბებს პროექტის საინვესტიციო ღირებულებას.

თუმცა, როგორც წინა თავში გაკეთებულმა ანალიზმა აჩვენა, გზმ ანგარიშში დეტალური და ფაქტებზე დაფუძნებული პროექტის ეკონომიკური სარგებელი წარმოდგენილი არ არის. უფრო მეტიც, პროექტში გამორჩენილია პროექტთან დაკავშირებული ისეთი რისკების შეფასება, რომელიც პირდაპირ საფრთხეს უქმნის ადგილობრივი მოსახლეობის სიცოცხლეს (იხილეთ შენიშვნები „საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკები“). ამასთან საერთოდ არ არის შეფასებული პროექტის განხორციელების გამო, რეგიონის განვითარების დაკარგული შესაძლებლობები ადგილობრივი მოსახლეობისათვის (ეკოტურიზმი) და პროექტის ზემოქმედება ადგილობრივი მოსახლეობის საარსებო გარემოზე (მიკროკლიმატის ცვლილებით გამოწვეული ზემოქმედება მოსავალზე, ჯანმრთელობაზე) და ეკოსისტემების შენარჩუნებით მიღებული ეკონომიკური სარგებელი.

აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ პროექტის საუკეთესო ალტერნატივას მისი არგანხორციელება წარმოადგენს.

5. ალტერნატივების ანალიზი

ანგარიშის ავტორების აზრით, ისეთი განახლებადი ენერჯის წყაროები, როგორცაა მზისა და ქარის ენერჯები არ წარმოადგენენ საქართველოში აღნიშნული პროექტის რეალისტურ ალტერნატივებს და შესაბამისად, მათი განხილვა ზედმეტად მიაჩნიათ. ეს განსახილველად წარმოდგენილი გზმ ანგარიშის მნიშვნელოვან ნაკლოვანებად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან არ არის წარმოდგენილი, თუ რის საფუძველზე არის გაკეთებული მსგავსი მტკიცება.

გასათვალისწინებელია, რომ საქართველოში მზიანი დღეების რაოდენობა წელიწადში 200-250 დღეების ფარგლებში მერყეობს, მზის პანელების და მასთან დაკავშირებული დანადგარების წარმოების თვითღირებულება კი ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შემცირდა და აღნიშნული ტენდენცია გრძელდება ამ სექტორში მიღწეული ტექნიკური პროგრესის შედეგად. მიუხედავად ამისა არაფერი იცვლება გამა კონსალტინგის მიერ სხვადასხვა დროს ჰესების თაობაზე მომზადებულ გზმ ანგარიშებში, რაც არის საფუძველი უარყოფითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის გაცემისთვის.

მნიშვნელოვანი ნაკლოვანებაა ისიც, რომ ალტერნატივებში რატომღაც საერთოდ არ არის ნახსენები ქსელში ჩართვის შესაძლებლობის მქონე მზის ინდივიდუალური მიკროსადგურების განვითარების შესაძლებლობა, რაც ასე ფართოდ და სწრაფად ვრცელდება გერმანიასა და სხვა ევროპულ ქვეყანაში. ანალოგიური შეიძლება ითქვას ქარის ენერჯიაზეც, რომლის შეფასება საერთოდ არ მომხდარა გზმ ანგარიშში.

გზმ ანგარიშში ხაზგასმულია საქართველოს ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი, თუმცა არ არის განხილული მცირე ჰიდროელექტროსადგურების განვითარების საკითხი, ან მაგალითად, მცირე ჰესებისა და სხვა განახლებადი ენერჯების გამოყენების კომბინაცია, ენერგოეფექტურობა თუ არსებული ჰესების რეაბილიტაცია. ჩვეულებრივ აღნიშნული საკითხები განხილვა და გადაწყვეტა აუცილებელია მოხდეს სწორედ ქვეყნისთვის დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზის შედეგად.

სწორედ აღნიშნული რეკომენდაცია იქნა გაკეთებული ნიდერლანდების გარემოზე ზემოქმედების კომისიის მიერ ხუდონჰესის პროექტზე მომზადებულ ანგარიშში. მსგავსი შენიშვნა გამოითქვა გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დაქირავებული კონსულტანტის მიერ მომზადებულ შეფასებამიც.

დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ წარმოდგენილ გზმ ანგარიშში არ არის განხილული პროექტის უპირატესი ვარიანტის ტექნიკურად და ფინანსურად შესატყვისი ალტერნატივები და შესაბამისად, წარმოდგენილი უპირატესი ვარიანტის მიზანშეწონილობა არ არის დადგენილი. აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის როგორც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვით და სოციალური პოლიტიკასთან, ასევე საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

გზმ-ში ვკითხულობთ, რომ კაშხლის განთავსებისათვის 5 სავარაუდო ადგილი არის შერჩეული და რამდენიმე ვარიანტია კაშხლის სიმაღლესთან დაკავშირებით. სავარაუდო სიმაღლეებია: 130, 150, 200 ან 250 მეტრი. დაგეგმილი კაშხლის სიმაღლის ჩამოთვლილი ვარიანტები არ შეესაბამება ბუნებრივ პირობებს, რადგან „ნენსკრას“ პროექტი დაგეგმილია „ხუდონის“ ზემოთ, ასეთი სიმაღლის კაშხლის განთავსება მდ. ნენსკრას ხეობაში სხვადასხვა სახის სეისმურ პროცესებს გაააქტიურებს. (ის არგუმენტი, რომ ყველა შესაძლო ვარიანტი დასახლებული პუნქტებიდან და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან შორს განთავსება სეისმური პროცესების რისკს არ ამცირებს).

6. საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკები

ანგარიშის 6.7 თავი ეძღვნება საშიში გეოდინამიკური პროცესების განვითარების რისკებს. ანგარიშის თანახმად, „საშიშ გეოლოგიურ პროცესებში განხილულია დედამიწის ზედაპირზე მიმდინარე ისეთი გრავიტაციული პროცესები, როგორცაა დახრამვა, მეწყერი, ქვანაშალი, ღვარცოფი და სხვა და რომლებიც შესაძლოა გამოიწვიოს ან გააქტიურდეს პროექტის განხორციელების შედეგად.“ თუმცა პროექტში აქცენტი რატომღაც გადატანილია მხოლოდ უკვე არსებულ გეოლოგიურად საშიშ უბნებზე და არ არის შეფასებული რისკები, რომელიც უკავშირდება ახალი კერების გაჩენას, რაც გამოწვეული იქნება, როგორც საპროექტო არეალის მცენარეული საფარისგან განთავისუფლებასთან, ისე რეზერვუარის არსებობის გამო შეცვლილ მიკროკლიმატთან და გლობალური კლიმატის ცვლილების კონტექსტშიც, რამაც შეიძლება დააჩქაროს აღნიშნული პროცესები ან/და წარმოქმნას ახალი კერები.

6.1 მშენებლობის ფაზა

ანგარიშის 6.7.2.1 თავის თანახმად („მშენებლობის ფაზა“), „წინასამშენებლო დეტალური პროექტირების ფაზაზე მშენებელ კონტრაქტორს ევალება, რომ განახორციელოს დამატებითი კვლევები და მიღებული შედეგების მიხედვით, განსაზღვროს კაშხლის უსაფრთხო ესპლუატაციისთვის საჭირო ღონისძიებები“ (6.7.2.1 „მშენებლობის ფაზა“ გვ. 25). აღნიშნულიდან გამომდინარე ნათელია, რომ ანგარიში არ მოიცავს საპროექტო არეალის დეტალურ კვლევებს, რომლის მიხედვით შესაძლებელი იქნებოდა კაშხლის უსაფრთხო ესპლუატაციის თაობაზე მსჯელობა.

ანგარიში არ მოიცავს არც კაშხლის გასწორის დეტალურ კვლევებს ნაკრას სათაო ნაგებობისთვის. ისევე როგორც წინა შემთხვევაში, კვლევების ჩატარება იგეგმება წინასამშენებლო პროექტირების ეტაპზე. უფრო მეტიც, ანგარიშში აღნიშნულია, რომ „თუ პროექტით განსაზღვრული საინჟინრო გადაწყვეტები არ იქნება საკმარისი რისკების მინიმიზაციისთვის, კაშხლის გადატანა მოხდება ზედა დინებაში დაახლოებით 2.5 კმ-ში შერჩეულ გასწორში.“ მხოლოდ ეს არგუმენტი არის საკმარისი იმისთვის, რომ კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, არ მოხდეს პროექტზე დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნის გაცემა.

არ არის შეფასებული არც ახალი გზების გაჭრასთან დაკავშირებული რისკებიც. მხოლოდ გაკეთებულია რეკომენდაცია, რომ წინასამშენებლო პროექტირების ფაზაზე უნდა ჩატარებულიყო სამშენებლო გზების დერეფნების საინჟინრო გეოლოგიური კვლევები.

ოპერირების ფაზა

წინააღმდეგობრივია და გაუგებარია, რას ეფუძნება გზმ ანგარიშის 6.7.2.2 თავში („ოპერირების ფაზა“) გაკეთებული დასკვნა, რომლის მიხედვითაც: „მეწყერული სხეულების მცირე მოცულობების გათვალისწინებით მეწყერული და ეროზიული პროცესების შედეგად წყალსაცავის მოცულობის მნიშვნელოვან შემცირებას ადგილი არ ექნება“.

ანგარიშში არ არის წარმოდგენილი, რომელი მეწყერული სხეულები გამოვლინდა საპროექტო არეალში; მოხდა თუ არა მათი გამოკვლევა; არსებობს თუ არა რისკები ამ კერების გაზრდის, რაც დაკავშირებულია საპროექტო ჰესის მშენებლობასა და ესპლუატაციასთან; არ არის შეფასებული, როგორია მათი ამჟამინდელი მოცულობები; არ არის შეფასებული ახალი მეწყერული კერების გაჩენის რისკები ა.შ.

უფრო მეტიც, ამავე თავში მოგვიანებით აღნიშნულია, რომ კაშხლის ღერძის მარცხენა მხარეს არსებობს მეწყრული უბანი, რომლის დამატებითი შესწავლა დაგეგმილია მშენებლობის დაწყებამდე, რაც ნათლად აჩვენებს, რომ აღნიშნული რისკების შეფასებას გზმ ანგარიში არ მოიცავს, რაც ეწინააღმდეგება, როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნებს¹⁵.

არ არის დეტალურად შეფასებული წყალსაცავზე ზვავებისა და კლდეზვავების ზემოქმედების რისკებიც. პროექტში რატომღაც აქცენტი კეთდება მხოლოდ ზვავის ჩამოწოლის შედეგად წარმოშობილი ტალღის კაშხლის ზღურბლზე გადმოდინების რისკზე და არა იმაზე, თუ რა ზემოქმედება ექნება მას თავად წყალსაცავის მოცულობაზე. საერთოდ არაფერია ნათქვამი კაშხლის ექსპლუატაციის შედეგად, ახალი კერების გაჩენის რისკებზე. ანგარიშის მიხედვით, გამოვლენილია მხოლოდ ორი მაღალი რისკის უბანი, რომელთა დამატებითი შესწავლა დაევალება მშენებელ კონტრაქტორს დეტალური პროექტირებისას.

აღნიშნულ ნაკლზე ყურადღება არის გამახვილებული გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დაქირავებული ექსპერტის დოქტორი ფრანკ შრეიდერის დასკვნაშიც, რომლის მიხედვით, გაუგებარია, რატომ არ მოხდა გზმ ანგარიშში ნენსკრას ხეობის ღვარცოფების შესწავლა¹⁶.

ტერიტორიაზე, სადაც კაშხალი უნდა განთავსდეს კლდოვანი მეწყერების გააქტიურების დიდი საშიშროებაა. თბილისში გამართული საჯარო განხილვისას, დარგის სპეციალისტები საუბრობდნენ, რომ არ შეიძლება ქვანაყარი კაშხალი აშენდეს ბეტონის გულით.

ზემოქმედება სოფელ ნაკიზე

ცალკე უნდა აღინიშნოს ჰესის ზემოქმედების რისკი სოფელ ნაკიზე (ნაკრა). ანგარიშის თანახმად, ჰესის ექსპლუატაციის ფაზაზე სოფელ ნაკის მოსახლეობას შესაძლებელია საფრთხე შეუქმნას სოფლის ჩრდილოეთით გამავალმა ღვარცოფულმა მდინარე ლექვედერმა, რომელიც მდინარე ნაკრას მარჯვნიდან ერთვის. მდინარის ხეობა ძლიერ ეროზირებულია და უხვი ატმოსფერული ნალექების დროს წარმოიქმნება ღვარცოფული ნაკადები დიდი რაოდენობის მყარი ნატანით. დღეისთვის მდ. ნაკრას ხეობაში ჩამოტანილი მყარი ნატანი ირეცხება მდ. ნაკრას წყლით და შესაბამისად, მცირდება ღვარცოფული ნაკადის სოფლის მიმართულებით გავრცელების რისკი. იმის გამო, რომ ნაკრას ჰესის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ, კაშხლის ქვედა ბიეფში გატარებული იქნება მხოლოდ „ეკოლოგიური ხარჯი“, მდინარე დაკარგავს მდ. ლექვედერის მიერ ჩამოტანილი მყარი ნატანის ტრანსპორტირების უნარს, რაც ზრდის ღვარცოფული ნაკადების სოფლის მიმართულებით გავრცელების რისკს. მიუხედავად აღნიშნულისა, რატომღაც ანგარიშში მსგავსი სცენარის განვითარების რისკი არ არის შეფასებული როგორც მაღალი.

სოფელი ნაკის მოსახლეობის განცხადებით, სოფლის ჩრდილოეთით მდ. ლექვედერის გარდა კიდევ ერთი, გაცილებით უფრო დიდი ღვარცოფული მდინარე ლექნაშერა მდებარეობს, რომელიც საერთოდ არ არის ნახსენები გზმ ანგარიშში, რაც ანგარიშის სერიოზულ ნაკლოვანებას წარმოადგენს. ამასთან, ეს ფაქტი მთლიანად აყენებს ეჭვქვეშ საშიში გეოდინამიკური პროცესების შეფასების სანდოობას. ადგილობრივების განცხადებით, ორივე აღნიშნული მდინარე საკმაოდ აქტიურია და თითქმის ყოველ წელს ჩამოაქვს დიდი ოდენობის მყარი ნატანი. ბოლოს, 2010 წელს მდ. ლექნაშერამ მთლიანად დაფარა სოფლის სასაფლაო და

¹⁵ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა;
¹⁶ 3.6.5 „Impacts on Surface Geology and Morphology and Mitigation Measures“; page 17;

სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, 2001 წელს კი მდინარე ლეჩქედერმა წაიღო ადგილობრივი მოსახლის კუთვნილი მიწის ნაკვეთის ნაწილი და ტრაქტორი, რომლის ნარჩენების პოვნა დღემდე ვერ მოხერხდა.

აღნიშნულის ფონზე სრულიად ნათელია, რომ საპროექტო არეალის დეტალური გეოლოგიური კვლევა არ ჩატარებულა, რაც ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნებს.

7. ბიომრავალფეროვნების საკითხები

წარმოდგენილი პროექტის განხორციელება, მისი მასშტაბის, დიზაინის და საპროექტო ტერიტორიის მდებარეობის გამო, გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების შეუქცევად დეგრადაციას. პროექტის დიზაინი ისეთია, რომ მოიცავს ყველა იმ უარყოფით ზემოქმედებას, რომლებიც ახასიათებთ წყალსაცავიან და დერივაციულ ჰესებს: მდინარის ჰაბიტატის გაწყვეტა მაღალი კაშხლით, ხმელეთის ჰაბიტატების ფრაგმენტაცია წყალსაცავით, დატბორვა, ტყისა და სხვა ხმელეთის ეკოსისტემების განადგურება, მდინარის ჰაბიტატის დეგრადაცია მდინარის კალაპოტში მხოლოდ სანიტარული ხარჯის დატოვების შედეგად და სხვ. რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიას, ის მდებარეობს დაგეგმილ ზემო სვანეთის დაცულ ტერიტორიებზე. მსოფლიო ბანკის „დაცული ტერიტორიების განვითარების პროექტის“ მიერ შემუშავებული დოკუმენტის, „ზემო სვანეთის დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა (2008)“, ნენსკრასა და ნაკრას ხეობები შედიან სვანეთის ეროვნული პარკის მკაცრი დაცვის ზონაში. გზმ ანგარიშის ავტორების მტკიცება, რომ საპროექტო ჰესის კომუნიკაციების განთავსების ტერიტორიები ზემო სვანეთის გეგმარებითი დაცული ტერიტორიების ფარგლებში არ შედის, რბილად რომ ვთქვათ, არ შეესაბამება სინამდვილეს. საკითხი ძალზე პრინციპულია და სამინისტრო ვალდებულია, რომ მისი განხილვა მოაწიოს დაცული ტერიტორიების სააგენტოს საკონსულტაციო საბჭოზე.

გზმ ანგარიშიდან ნათელია, რომ ბიოლოგიური გარემოს კვლევა არასრულყოფილადაა ჩატარებული. ანგარიშში, კლიმატური პირობების აღწერისას ვკითხულობთ, რომ თოვლის საფარი დევს 7 ნოემბრიდან 7 აპრილამდე საპროექტო ტერიტორიაზე. ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ დეტალური საველე სამუშაოები დაიწყო 2012 წლის 1 აგვისტოდან და დასრულდა 2013 წლის 13 თებერვლს, ხოლო ყველა კვლევა დასრულდა 2013 წლის 8 მარტს. ოთხი თვის განმავლობაში მაღალი თოვლის საფარისა და ყინვის პირობებში დეტალური საველე კვლევის ჩატარება შეუძლებელია. ჩატარებული კვლევის სანდოობის საკითხი სერიოზულ ეჭვებს ბადებს. ბუნებრივია, რომ წელიწადის ამ პერიოდში ჩატარებული საველე კვლევებისას ვერ აღმოაჩენდნენ ქვეწარმავლების დაცულ სახეობებს, უხერხემლო ცხოველების მნიშვნელოვან წარმომადგენლებს და ფლორის სახეობების მნიშვნელოვან ნაწილს.

კუროიზულია ანგარიშის ავტორის მტკიცება იმის შესახებ, რომ რადგან ადგილობრივი მოსახლეობის წარმომადგენლები ვერ იხსენებენ შინაურ ცხოველებზე მგლისა (Canis lupus) და ფოცხვერის (Lynx lynx) თავდასხმის ფაქტებს, პროექტის გავლენის ზონაში ეს სახეობები არ ბინადრობენ. ეს იგივეა, რომ ვინმე „მკვლევარმა“ დაასკვნას, რომ რუსთაველის პროსპექტზე მანქანები არ დადიან, რადგან ქუჩაში მყოფებმა ვერ გაიხსენეს ფეხით მოსიარულეებზე მანქანის დაჯახების ფაქტები. სინამდვილეში, შინაურ ცხოველებზე მტაცებლების თავდასხმის ფაქტების არარსებობა მიუთითებს იმაზე, რომ ბუნებრივი ეკოსისტემები დიდი პროდუქტიულობით გამოირჩევა. პროექტის განხორციელების შედეგად რამდენიმე ასეულ ჰექტარზე მაღალი კონსერვაციული ღირებულების ეკოსისტემების განადგურება კი გამოიწვევს ადამიანი-მტაცებლის კონფლიქტის გამწვავებას, გარეული ცხოველების ჰაბიტატისა და საკვები ბაზის შემცირების, ასევე ნარჩენების ახალი კერების გაჩენის გამო.

გზმ არასრულყოფილებაზე ნათლად მეტყველებს, რომ ანგარიშის ავტორი წყალსაცავის ზედაპირს უთანაბრებს წყლით დაფარული ხმელეთის ფართობს. მდინარის ხეობაში ფერდობების ფართობი მნიშვნელოვნად აღემატება ჰიპოთეტური წყალსაცავის ზედაპირის ფართობს. ამკარაა, რომ გზმ ანგარიშის მომზადებისას ტყისა და სხვა ეკოსისტემების ფართობი არ დაზუსტებულა.

პროექტის ავტორის მიერ, მთის მდინარის ბუნებრივი ეკოსისტემის განადგურება, მის ნაცვლად ხელოვნური წყალსაცავის შექმნა და მისი ინვაზიური სახეობებით დასახლება დადებითი მოვლენად არის შეფასებული: „წყალსაცავში ჩამოყალიბდება ტბებისთვის დამახასიათებელი ჰიდროფაუნის ცენოზები, რაც გააუმჯობესებს უხერხემლოების, თევზების გარემოს.“ ასეთი მტკიცება საბჭოთა პერიოდის აზროვნების გადმონაშთია და კომენტირებას არ ექვემდებარება.

ანგარიშში არ არის წარმოადგენილი არანაირი რეალური საკომპენსაციო და საკონსერვაციო გეგმა, რაც ეწინააღმდეგება გზმ ანგარიშის მომზადების წესსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. როგორც აღვნიშნეთ, წარმოდგენილ დოკუმენტში გადმოტანილია ტექსტი სხვა გზმ ანგარიშებიდან ზიანის საკომპენსაციო ღონისძიებებთან დაკავშირებით: „წმინდა მოგებისა“ და „ჰაბიტატ-ჰექტარის“ შეფასების მეთოდები, ჰაბიტატის აღდგენა, დარგვა, თესლების შეგროვება, საკონსერვაციო ცენტრებში გადატანა და ა.შ. ტრადიციულად, არ არის ნაჩვენები, თუ რომელ საკონსერვაციო ცენტრებში იგეგმება მცენარეების გადატანა და რომელი სახეობების; ეს მიუთითებს იმაზე, რომ საკითხი ფორმალურადაა მოხსენიებული გზმ ანგარიშში. არ არის ნათელი, იღებს თუ არა პროექტის განმახორციელებელი ვალდებულებას, რომ გამოიყენებს ამ მეთოდებს და რომელ სახეობებთან და ჰაბიტატებთან მიმართებაში. როგორც წესი, სამინისტროს არასოდეს არ მოუხდებია გზმ ანგარიშებით აღებული ამგვარი პირობების შესრულების მონიტორინგი და არც მათი შეუსრულებლობის გამო მოუთხოვია პასუხი დეველოპერისთვის (მაგ. ლარსი-ჰესი, ყაზბეგი-ჰესი და ა.შ.). გზმ ანგარიშების შედგენის, მათზე დადებითი დასკვნის გაცემისა და დარღვევების იგნორირების პრაქტიკა კი ინტერესთა კონფლიქტის სერიოზულ ვარაუდს აჩენს.

ანგარიშში ერთ-ერთ შემარბილებელ ღონისძიებად დასახელებულია ჰესის მომსახურე პერსონალის მიერ უკანონო ჭრების აღმოსაფხვრელად მკაცრი კონტროლის განხორციელება. შეუძლებელია, ჰესის პერსონალმა ჰესის მშენებლობაზე იმუშაოს და იმავდროულად ბრაკონიერობაც აღკვეთოს და არც ამის არანაირი სამართლებრივი უფლებამოსილება არ გააჩნია.

გზმ ანგარიშიდან ნათელია, რომ პროექტს ექნება მნიშვნელოვანი ზეგავლენა ბიომრავალფეროვნებაზე - ტყის ეკოსისტემებზე, ენდემურ, იშვიათ და საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე და მათ ჰაბიტატებზე (განსაკუთრებით, იქთიოფაუნაზე და ტყეებზე). აღნიშნულის ფონზე, ანგარიში შეიცავს მრავალ მნიშვნელოვან ხარვეზს და თანაც სიტყვა-სიტყვით არის გადმოტანილი შუახევი-ჰესის გზმ ანგარიშიდან. მაგალითად გზმ ანგარიშში აღნიშნულია, რომ (ტომი 2, გვ. 56) „იმ შემთხვევაში, თუ დაგეგმილი საპროექტო დერეფნის მშენებლობა დაკავშირებული იქნება ხე-ტყის ჭრასთან. აღნიშნული ქმედება არ წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის შემადგენელ ნაწილს, არამედ ეს ქმედება წარმოადგენს კლიენტის და ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს და გარემოს დაცვის სამინისტროს შორის შემდგომი ურთიერთობის საგანს, რომლის დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული ყველა შესაბამისი პროცედურა. გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ უნდა დადგინდეს განსახორციელებელი სამუშაოების ნუსხა, მათ შორის მოსაჭრელი ხე-ტყის მოცულობა და ჩატარდეს შესაბამისი სახელმწიფო ტყის ფონდში შემავალი მონაკვეთის ტყის დეტალური ინვენტარიზაცია“. ძველი გზმ ანგარიშიდან გაუაზრებელი კოპირების გამო, სამინისტროების

ძველი დასახელებებია მოხსენიებული. მტკიცება იმისა, რომ - დაგეგმილი მშენებლობისას ტყის ჭრის ზეგავლენის საკითხები არ წარმოადგენს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ნაწილს, მცდარია და ეწინააღმდეგება მოქმედ კანონმდებლობას.

ამავე გვერდზე ციტირებულია „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“ საქართველოს კანონის 24-ე მუხლი, „წითელი ნუსხის“ სახეობების გარემოდან ამოღებასთან დაკავშირებით. ისმის კითხვა - წითელი ნუსხის სახეობების გარემოდან ამოღების ჩამოთვლილი შემთხვევებიდან, რომელს შეესაბამება ეს შემთხვევა? კერძო კომპანიის ფინანსური ინტერესი - ჰესის მშენებლობა არ განეკუთვნება „განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას“.

57-ე გვერდზე აღნიშნულია, რომ „სახელმწიფო ტყის ფონდის მიწების კატეგორიის შეცვლის წესი და პროცედურები ხორციელდებოდა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 15 თებერვლის №5 ბრძანებით “სახელმწიფო ტყის ფონდის მიწებისათვის სპეციალური დანიშნულების კატეგორიის მინიჭების წესის შესახებ” დამტკიცებული წესის შესაბამისად. ამჟამად აღნიშნული ბრძანება გაუქმებულია და მასში მოცემული დებულებები ასახულია “საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს №242 დადგენილებით დამტკიცებულ “ტყით სარგებლობის წესში”, კერძოდ, მას დაემატა V¹ თავი “სახელმწიფო ტყის ფონდით სპეციალური დანიშნულებით სარგებლობა”.

ზემოხსენებული მტკიცებები არასწორია იურიდიული თვალსაზრისით: აღნიშნული დებულება გულისხმობს, რომ თუ, მაგალითად, ჰიდროკვანძების, მილსადენების, გზების, კავშირგაბმულობისა და ელექტროგადამცემი და ა.შ. მშენებლობისათვის საჭიროა ტყითსარგებლობის სახე - ტყის ჭრა, ეს შესაძლებელია. მაგრამ არ ნიშნავს, რომ ჰესის მშენებლობა არის ტყითსარგებლობის სახე. მითუმეტეს, არ ნიშნავს, რომ პირმა შეიძლება იხელმძღვანელოს ციტირებული მუხლით ტყის კატეგორიის შესაცვლელად.

58-ე გვერდზე აღნიშნულია სპეციალური ჭრების განხორციელების შემთხვევები, 30-დან 35 გრადუსამდე და 35 გრადუსისა და მეტი დაქანების ფერდობებზე; თუმცა, გაუგებარია, რატომ წარმოადგენს კერძო კომპანიის ინტერესები - ამ შემთხვევაში ჰესის მშენებლობა - „განსაკუთრებულ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას.“

გზში ანგარიშში მიმოხილულია ტყის ფონდის ამორიცხვის წესი, მაგრამ გაუგებარია რისთვის, ვინაიდან ანგარიშში არ არის იდენტიფიცირებული ფართობები, რომლის ამორიცხვასაც საჭიროებს პროექტი. უფრო მეტიც, გარემოს დაცვის სამინისტროს ინფორმაციით, საპროექტო არეალში არსებული ტყის მასივების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე ამორიცხულია და გადაცემულია ეკონომიკის სამინისტროსთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე არათუ არ უნდა გაიცეს დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა, არამედ აუცილებელია გამოძიებულ იქნას, რის საფუძველზე განხორციელდა ტყის მასივების ამორიცხვა და ეკონომიკის სამინისტროსთვის გადაცემა.

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ პროექტი გამოიწვევს ბიომრავალფეროვნების, დაცული, იშვიათი და საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების, მაღალი კონსერვაციული ღირებულების ტყეების შეუქცევად დეგრადაციას. გარდაუვალია „საქართველოს „წითელი წიგნისა“ და „წითელი ნუსხის შესახებ“ და „გარემოს დაცვის შესახებ“ კანონების, ბიომრავალფეროვნების შესახებ კონვენციისა და ბერნის კონვენციის დებულებების დარღვევა.

უფრო კონკრეტულად, დაირღვევა: კანონი „გარემოს დაცვის შესახებ“, მუხლი 46. „ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა დაცვა“, მე-2 პუნქტი „აკრძალულია ყოველი ქმედება, რომელმაც შეიძლება ზიანი მიაყენოს ველურ მცენარეთა და გარეულ ცხოველთა სამყაროს, საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალებს და სამიგრაციო გზებს“; კანონი „საქართველოს „წითელი ნუსხისა“ და „წითელი წიგნის“ შესახებ“, მუხლი 10. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების დაცვის ძირითადი მოთხოვნები“, მე-2 პუნქტი „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესება“. მუხლი 11. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა დაცვა“ „აკრძალულია ყოველგვარი ქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა რაოდენობის შემცირება, მათი საბინადრო გარემოს, გამრავლების არეალის, გადარჩენის სტაციების, სამიგრაციო და წყალთან მისასვლელი გზებისა და წყლის სასმელი ადგილების დარღვევა...“.

აღნიშნულიდან გამომდინარე, „ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების წესის“ შესაბამისად, სამინისტრო მოკლებული იქნება შესაძლებლობას, გასცეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა.

8. სოციალური ზემოქმედება

გზმ ანგარიშის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებას პროექტის სოციალური ზემოქმედების არასათანადო შეფასება წარმოადგენს, რომელიც ფოკუსირებულია პრაქტიკულად მხოლოდ ე.წ. დადებით ფაქტორებთან (ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და დასაქმება)¹⁷. რაც შეეხება პროექტის უარყოფით ზემოქმედებას ადგილობრივ მოსახლეობაზე, რომელიც გამოწვეული იქნება როგორც მიკროკლიმატის ცვლილებით, ისე ჰესის ინფრასტრუქტურისთვის საჭირო ფართობების დაკარგვით, არ არის შეფასებული და შესაბამისად არც შემარბილებელი ღონისძიებები არ არის განსაზღვრული.

ანგარიშის 6.15.3.2 თავის („წყალსაცავების შესაძლო კუმულატიური ზემოქმედება სხვადასხვა მასშტაბის კლიმატზე“) თანახმად, „მისი გავლენა (წყალსაცავი) კლიმატზე არსებითი იქნება გაზაფხულზე, როცა ყინულის საფარი დაიწყებს დნობა-მსხვრევას და გვიან შემოდგომაზე, მანამ, ვიდრე ყინულმოვლენები (წინაპირები, ყინულის ლამბაქები, და შუგა-ჭირხლყინული) დაიწყება. ამ პერიოდებში წყლისა და ჰაერის ტემპერატურებს შორის მკვეთრი განსხვავება და ძლიერი ქარი გაააქტიურებს აორთქლებას. აორთქლებული ტენი ჭირხლისა და თოვლიყინულის სახით დაედება შენობებს, ხეხილს და დააზიანებს მათ. უფრო მძიმეა ნაადრევი წაყინვებით გამოწვეული ზარალი, რადგან წაყინვები იწვევს ახლად ამოყრილი კვირტების და ყლორტების კვდომას, რასაც საბოლოოდ სასარგებლო მცენარეების ნაადრევი დაბერება, უნაყოფობა და კვდომა მოსდევს. ამ პერიოდებში უფრო დაუმძიმდებათ მდგომარეობა იმ ადამიანებს, რომელნიც დაავადებულნი არიან რევმატიზმით, და/ან სასუნთქი და გულ-სისხლძარღვთა სისტემების მკურნალობას საჭიროებენ“.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე უცნაურია, რომ ანგარიშში რატომღაც არ არის გაკეთებული შეფასება იმ ზიანის, რომელიც მიადგება ადგილობრივ მოსახლეობას არამარტო მოსავლის დაკარგვისა და ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანის შედეგად, არამედ იმ გარემოებითაც რომ

¹⁷ გზმ ანგარიში; 6.13 თავი „ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე“;

მნიშვნელოვნად უარსედება საცხოვრებელი გარემო ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რაც თანდათანობით აღნიშნული სოფლების დაცლას გამოიწვევს.

აღნიშნულ საკითხი ანგარიშის სერიოზულ ნაკლოვანებად მიაჩნია სამინისტროს მიერ დაქირავებულ საერთაშორისო ექსპერტსაც, რომელიც ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ ანგარიშში არ არის გათვალისწინებული. სოციალური ზემოქმედების არასრულფასოვანი შეფასება და სათანადო შემარბილებელი ღონისძიებების არ განსაზღვრა ეწინააღმდეგება როგორც საქართველოს კანონმდებლობას, ისე საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვით და სოციალურ პოლიტიკებს.

9. კუმულაციური ზემოქმედება

ენერგეტიკული აკადემიის პრეზიდენტის, რევაზ არველაძის განცხადებით, ნენსკრა ჰესის მშენებლობამ შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა მოახდინოს როგორც სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ ენგურჰესის წყლის აკუმულაციის შესაძლებლობაზე, ისე საპროექტო ხუდონჰესზეც (იმ შემთხვევაში თუ აშენდება). აღნიშნული კუთხით შეფასება გზშ ანგარიშში არათუ არ გაკეთებულა, ზოგადად არ არის მოცემული პროექტში ნენსკრა ჰესის სამუშაო რეჟიმი და მისი თანხვედრა და ზეგავლენა არსებულ ენგურჰესთან. აღნიშნულზე ამახვილებს ყურადღებას სამინისტროს მიერ დაქირავებული ექსპერტიც თავის დასკვნაში.

გარდა ამისა აუცილებლად უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ ნენსკრა ჰესის პროექტისთვის საჭირო გადამცემი ხაზის მშენებლობაც მნიშვნელოვან კუმულაციურ ზემოქმედებასთან არის დაკავშირებული, ვინაიდან მისი განხილვა უნდა მოხდეს უკვე არსებულ და საპროექტო ხუდონჰესის გადამცემ ხაზთან ერთად, რაც ერთობლიობაში სამი მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის არსებობას განაპირობებს ვიწრო ხეობაში. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ხაზების მშენებლობისთვის საჭირო იქნება დამატებით მისასვლელი გზების მოწყობაც, გზშ ანგარიშში აუცილებელი იყო მომხდარიყო ამ გადამცემი ხაზების გეოდინამიკურ პროცესებზე ზემოქმედების შეფასება, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს ჯვრის წყალსაცავში სედიმენტაციის კიდევ უფრო მომატება. არსებული გზშ ანგარიშში აღნიშნული საკითხი საერთოდ არ არის განსაზღვრული. უფრო მეტიც ანგარიშის მიხედვით, გადამცემი ხაზის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადება დაიწყება მხოლოდ გადამცემი ხაზის სამშენებლო პროექტის მომზადების შემდეგ. აღნიშნული მიდგომა ნათელი მაგალითია პროექტის ფრაგმენტული შეფასების.

10. საზოგადოების ინფორმირება და მონაწილეობა

გზშ ანგარიშის 10 თავის „საზოგადოების ინფორმირება და მონაწილეობა გზშ პროცესში“ მიხედვით, „განისაზღვრა დაინტერესებული მხარეები (პროექტის ზემოქმედების ქვეშ პოტენციურად მოხვედრილი), მომზადდა დაგეგმილი საქმიანობის შესახებ მოკლე ინფორმაცია, და საზოგადოებისგან შეკითხვების დასაფიქსირებელი ფორმა“. ანგარიში მოიცავს ასევე დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმას და დაგეგმილი სკოპინგის შეხვედრების თარიღებს.

მართალია, პროექტის სპონსორის მიერ განხორციელებული ქმედებები ფორმალურად შეესაბამება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნებს, თუმცა იმის გათვალისწინებით რომ: (1) არ მოხდა ყველა დაინტერესებული მხარის იდენტიფიცირება, (2) არ ჩატარდა სკოპინგის შეხვედრა, ხოლო წარმოდგენილი დაინტერესებულ მხარეთა ჩართვის გეგმა არის ძალიან მოკლე და არაინფორმატიული, შეიძლება ითქვას, რომ განხორციელებული ქმედებები შორს არის საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მოთხოვნებთან.

მაგალითად, დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიხედვით, პროექტის დაგეგმვის ეტაპზე კონსულტაციებში მონაწილეობა უნდა მიეღოთ მხოლოდ მთავრობის წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. სხვა დაინტერესებული მხარეების (არასამთავრობო ორგანიზაციები და ადგილობრივი მოსახლეობა) მონაწილეობას კი გეგმა არ ითვალისწინებდა. ასეთი მიდგომა წარმოადგენს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკის უხეშ დარღვევას¹⁸.

სკოპინგის შეხვედრა

გზმ ანგარიშის მიხედვით, 2015 წლის 24 და 25 აპრილს ნაკრას და ჭუბერის თემების სოფლებში (ნაკი, ლეკალმახი, ზედა მარდი, ლარილარი, სგურიში ტიტა და ლახამი) გაიმართა წინასწარი შეხვედრები პროექტის თაობაზე. თუმცა მესტიის საკრებულოში ნაკრას წარმომადგენლის განცხადებით, აღნიშნულ პერიოდში სკოპინგის შეხვედრა სოფლებში საერთოდ არ გამართულა.

გზმ ანგარიშზე ხელმისაწვდომობა ადგილობრივი მოსახლეობისთვის

ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, გზმ ანგარიშის მხოლოდ ერთი ასლი არსებობდა რეგიონში, რომელიც ინახებოდა ნაკრას თემიდან მესტიის საკრებულოს წევრთან. როგორც აღმოჩნდა აღნიშნული დოკუმენტის გაცნობის საშუალება ჭუბერის თემის წარმომადგენლებს არ ჰქონიათ და მხოლოდ საჯარო კონსულტაციების წინა დღეებში მოხდა მათთვის გზმ ანგარიშის დასკვნის გაცნობა. რაც შეეხება ნაკრას თემს, აღნიშნული დოკუმენტის გავრცელება არც ნაკრას თემში მომხდარა, თუმცა რამოდენიმე აქტიური მოსახლის აქტიურობის შედეგად, მათ მიეცათ საშუალება მოკლედ გაცნობოდნენ დოკუმენტს და ინფორმაცია მიეწოდებინათ ჭუბერის თემის მოსახლეობისთვის.

ამასთან აღსანიშნავია ის გარემოებაც რომ არც საპარტნიორო ფონდმა და არც „K Water“ არ გამოაქვეყნა გზმ ანგარიშების ელექტრონული ვერსიები საკუთარ ვებგვერდებზე და მხოლოდ მწვანე ალტერნატივას მიერ მოხდა ანგარიშების მიწოდება ადგილობრივი მოსახლეობისთვის, რითიც მნიშვნელოვნად შეიზღუდა მოსახლეობის ინფორმირებული მონაწილეობა საკონსულტაციო შეხვედრებში, რაც თავის მხრივ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკის დარღვევას წარმოადგენს.

საჯარო განხილვა

პროექტის გზმ ანგარიშის მიხედვით, საჯარო განხილვის თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდა საქართველოს რესპუბლიკის 2015 წლის 4 აპრილის ნომერში. პროექტის სპონსორს არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგია აღნიშნული ინფორმაციის ადგილობრივ თემებში გასავრცელებლად, რის გამოც ჭუბერის მოსახლეობისთვის მხოლოდ წინა დღეს გახდა ცნობილი განხილვის თარიღი, რითიც შეიზღუდა მოსახლეობის ინფორმირებული მონაწილეობა პროცესში.

ამასთან ადგილობრივი მოსახლეობის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 1 და 2 ივნისს გამართულ საჯარო განხილვებზე პროექტის განმახორციელებელმა წარმოადგინა პროექტის მხოლოდ დადებითი მხარეები და განსაკუთრებით აქცენტი გააკეთა სამუშაო ადგილების შექმნაზე. პროექტთან დაკავშირებული რისკების პრეზენტაცია კი, რომელიც გზმ ანგარიშშია წარმოდგენილი, არ მომხდარა.

ამასთან ადგილობრივების განცხადებით, პროექტის განმახორციელებლის მიერ არ მომხდარა ადგილობრივი მოსახლეობისთვის ინფორმაციის მიწოდება მათი უფლებების და გასაჩივრების

¹⁸ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი; გარემოსდაცვითი და სოციალური პოლიტიკა PR 10 (10);

მექანიზმის შექმნის აუცილებლობის თაობაზე, რაც ასევე წარმოადგენს როგორც ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის, ისე აზიის განვითარების ბანკის გარემოსა და სოციალური პოლიტიკის დარღვევას.

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილი დოკუმენტი

1. არ შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას და საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ გარემოს დაცვის ნორმებსა და სტანდარტებს;
2. არ ასაბუთებს, რომ მასში მოყვანილი საქმიანობის განხორციელება განსაზღვრულ ადგილსა და გარემოებაში არ გამოიწვევს გარემოს მდგომარეობისა და ბუნებრივი რესურსების შეუქცევად ხარისხობრივ და თვისობრივ ცვლილებებს;
3. არ ითვალისწინებს გარემოზე ზემოქმედების შემცირების ან თავიდან აცილების ღონისძიებებს;
4. პროექტზე დადებითი ეკოლოგიური ექსპერტიზის გაცემის შემთხვევაში უხეზად დაირღვევა საქართველოს კანონმდებლობა, ვინაიდან გამოიწვევს გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების რაოდენობის შემცირებას, მათი საბინადრო გარემოს და საარსებო პირობების გაუარესებას“;
5. არ მოიცავს პროექტის დანახარჯებისა და სარგებლის ანალიზს, შესაბამისად, არ არის შეფასებული პროექტის არც ეკონომიკურ და არც ენერგეტიკულ ფაქტორებზე (ტარიფი, მიწოდების პირობები) ზემოქმედების საკითხები. დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია მოკლებულია სათანადო ანალიზს და ეფუძნება მხოლოდ ანგარიშის ავტორების ვარაუდებს;
6. პროექტი არ შეესაბამება საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების პოლიტიკებსა და ევროკავშირის სტანდარტებსა და ნორმებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს ეკოლოგიური ექსპერტიზის დადებითი დასკვნა.

იმედს ვიტოვებთ, რომ სამინისტროს დღევანდელ ხელმძღვანელობა გადაწყვეტილების მიღებისას პრიორიტეტს მიანიჭებს წარმოდგენილი გზშ ანგარიშის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის და მოსალოდნელი საქმიანობის ეკოსისტემებზე შესაძლო ზეგავლენის შეფასებას და ტრადიციულად, არ გაკეთდება აქცენტი დაგეგმილი პროექტის ეკონომიკური თუ ენერგეტიკული მიზანშეწონილობის ჰიპოთეტურ საკითხებზე. ასევე, იმედი გვაქვს, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო მოახერხებს გაუძლოს ზეწოლას და დაუმტკიცებს მინისტრთა კაბინეტის წევრებს, რომ ობიექტური გზშ პროცესის მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები მომგებიანია როგორც გარემოსდაცვითი, ისე ეკონომიკური და სოციალური თვალსაზრისითაც.

მიგვაჩნია, რომ ასეთ რთულ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ობიექტური გადაწყვეტილების მიღებისათვის აუცილებელია გამოცხადდეს მორატორიუმი, მანამ სანამ ძალაში არ შევა ახალი კანონი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“, რომლის მიღებაც იგეგმება ამ წლის ბოლოს.